

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №26

ქ. თბილისი

16.11.2012

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრები:

კახი ყურაშვილი - შპს თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სრული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;

ნინო მოწინიძე - საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის აღმასრულებელი საბჭოს წევრი;

კონსტანტინე ნანობაშვილი - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;

რუსუდან ტყემელაშვილი - საქართველოს განმანათლებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;

ლალი დოდელიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სამშენებლო ფაკულტეტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი, (სხდომის მდივანი);

დავით კახნიაშვილი - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი.

სსიპ -განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ნანა ჭილაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;

კონსტანტინე ჩოკორაია - ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;

ნინო ფურცხვანიძე - აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ნინო ბეგიაშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ლაშა მარგიშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ლევან მადათოვი - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

გიორგი ელისაბედაშვილი - მონიტორინგის სამსახურის უფროსი;

იოსებ კელენჯერიძე - მონიტორინგის სამსახურის უფროსის მოადგილე.

ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. ლალი ხვედელიძე - შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის კანცლერი;

2. ნათია მიქელთაძე - შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე.

ავტორიზაციის ექსპერტები:

დავით ბოსტოლანაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;

თამარ გვიანიშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 20:05 სთ-ზე და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დაავალა ლალი ღოღელიანს.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური საბაკალავრო კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ, კახი ყურაშვილმა და საბჭოს წევრებმა ყურადღება გაამახვილეს დღის წესრიგის პირველი და მეორე საკითხის ფორმულირებაზე. კახი ყურაშვილმა, კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭილაძეს, თუ რატომ იყო დღის წესრიგში ჩასმული ერთი და იგივე დაწესებულების ავტორიზაციასთან დაკავშირებული საკითხი ორჯერ - შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და ამავე უნივერსიტეტის, როგორც ავტორიზებული პირის მონიტორინგის შედეგების განხილვა ცალ-ცალკე, ორ დამოუკიდებელ საკითხად.

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსის, ნანა ჭილაძის, განცხადებით, აღნიშნული საკითხი ექსტრემალურ შემთხვევას წარმოადგენდა და მსგავსი პრეცედენტი ცენტრს არ ჰქონდა. მისი განცხადებით, დაწესებულების მიერ ცენტრში საავტორიზაციო განაცხადის წარმოდგენამდე, არსებობდა ინფორმაცია, რომელიც გახდა საფუძველი იმისა, რომ შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებულიყო მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტი. აღნიშნული ფაქტისაგან დამოუკიდებლად, დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება ავტორიზაციის შესახებ და კანონმდებლობით დადგენილი ვადის გათვალისწინებით, განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი.

კახი ყურაშვილის განცხადებით, შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი დღის წესრიგის პირველ საკითხად გამოდიოდა როგორც ავტორიზებული დაწესებულება, ინსტიტუციური აკრედიტაციის ვადის გათვალისწინებით, ხოლო მეორე საკითხის განხილვისას, ის, უკვე, ავტორიზაციის მაძიებელ სუბიექტს წარმოადგენდა. თუმცა იმის, გათვალისწინებით, რომ მონიტორინგის ჯგუფის და ავტორიზაციის ექსპერტების დასკვნები,

რომელიც მას და საბჭოს წევრებს წინასწარი შესწავლისათვის გადაეგზავნათ, უარყოფითი იყო, მას რჩება შთაბეჭდილება, რომ ორივე საკითხის განხილვისას, ერთი და იგივე სუბიექტის მიმართ შესაძლოა ერთი და იგივე შინაარსის გადაწყვეტილება დადგეს, რაც მისი აზრით არც ფორმალურ-იურიდიული თვალსაზრისით და არც შინაარსობრივად მიზანშეწონილად არ მიაჩნია.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ როდის შემოიტანეს მათ ავტორიზაციის მოპოვების შესახებ განაცხადი ცენტრში.

შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლის განცხადებით, მათ განაცხადი 2012 წლის 17 ივლისს შემოიტანეს.

ნანა ჭილაძის განცხადებით, ავტორიზაციის დებულების გათვალისწინებით, წარმოების ვადა აითვლებოდა ავტორიზაციის მაძიებლად ცნობის შესახებ ბრძანების გამოცემიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა მონიტორინგის სამსახურის უფროსს, თუ როდის განხორციელდა დაწესებულებაში მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტი.

გიორგი ელისაბედაშვილის განცხადებით, მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2012 წლის 22-25 აგვისტოს.

კახი ყურაშვილმა დაინტერესდა, თუ რატომ არ მოხდა აგვისტოს თვეში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა 2012 წლის 16 ნოემბრამდე.

კონსტანტინე ჩოკორაიას განცხადებით, ავტორიზაციის სამმართველო, საკითხის დღის წესრიგში ჩასასმელად ელოდებოდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის ცენტრში ჩაბარებას.

კახი ყურაშვილა დააზუსტა ავტორიზაციის წარმოების მაქსიმალური ვადა.

ნანა ჭილაძის განცხადებით, ავტორიზაციის დებულების თანახმად, წარმოების მაქსიმალურ ვადას წარმოადგენდა 90 დღე.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა მონიტორინგის სამსახურის უფროსს, აღნიშნული საკითხის განხილვის ფარგლებში, თუ როგორ იყო განსაზღვრული მონიტორინგის ადმინისტრაციული წარმოების მაქსიმალური ვადა.

გიორგი ელისაბედაშვილის განცხადებით, მონიტორინგის სამსახურისათვის წარმოების მაქსიმალური ვადა კანონმდებლობით არ იყო განსაზღვრული.

კახი ყურაშვილმა განმარტა, რომ უვადო ადმინისტრაციულ წარმოებას კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა და მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის პირველ და მესამე ნაწილებზე და განაცხადა, რომ წარმოება უნდა დასრულებულიყო 1 თვის ვადაში, ხოლო თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენისათვის აუცილებელი იყო კანონმდებლობით გათვალისწინებულზე მეტი ვადა, მაშინ უნდა მიღებულიყო გადაწყვეტილება აქტის გამოცემის ვადის განსაზღვრის შესახებ. მან, კითხვით მიმართა გიორგი ელისაბედაშვილს, თუ რატომ მოხდა აგვისტოში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვის გაჭიანურება ნოემბრამდე.

გიორგი ელისაბედაშვილის განცხადებით, გაჭიანურების მიზეზს შესასწავლი მასალის ოდენობა წარმოადგენდა.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა, იყო თუ არა გამოცემული ბრძანება წარმოების ვადის გაგრძელების შესახებ.

გიორგი ელისაბედაშვილის განცხადებით, გამოცემული იყო ცენტრის დირექტორის ბრძანება დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ, რომლითაც მონიტორინგის სამსახური, წარმოების დასრულების ვადით, შეზღუდული არ იყო. მასალის ოდენობის და დარგის

სპეციალისტებთან მიმოწერის აუცილებლობის გათვალისწინებით, დასკვნის ცენტრისათვის გადმოცემა მოხდა 2012 წლის 9 ოქტომბერს.

კახი ყურაშვილმა განაცხადა, რომ 2012 წლის 22 აგვისტოს გამოცემული ბრძანების საფუძველზე დაწესებული წარმოების დასრულება უნდა მომხდარიყო 2012 წლის 22 სექტემბრამდე. მისი განცხადებით, თუ წარმოებისათვის მეტი ვადა იყო საჭირო, და საბჭოსთვის ნათელი გახდა, რომ ამის აუცილებლობა იყო, უნდა გამოცემულიყო აქტი წარმოების ვადის გაგრძელების შესახებ. მან, კვლავ, დააზუსტა, იყო თუ არა წარმოების ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება მიღებული.

გიორგი ელისაბედაშვილის განცხადებით, დაწესებულებაში მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის შესახებ ბრძანების გარდა, სხვა სახის ბრძანება არ იყო გამოცემული.

კახი ყურაშვილის განცხადებით, დღის წესრიგში საკითხის ჩასმას და მის ფორმულირებას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. საბჭო, 2012 წლის 16 ნოემბრის დღის წესრიგის ფორმულირების გათვალისწინებით, იყო კურიოზულ მდგომარეობაში, რადგან ერთი და იგივე დაწესებულების მიმართ, ერთ დღეს, შესაძლოა მიღებული ყოფილიყო ერთი და იგივე შედეგის მქონე გადაწყვეტილება.

გიორგი ელისაბედაშვილის განცხადებით, ცენტრში შემოსული ინფორმაციის საფუძველზე, მონიტორინგის სამსახური ვალდებული იყო დაწესებულებაში განეხორციელებინა მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტი, ხოლო მათთვის, წინასწარ, საბჭოს გადაწყვეტილების განსაზღვრა შეუძლებელი იყო. მისი განცხადებით, ორი სხვა და სხვა ბრძანების საფუძველზე დაიწერა ორი დასკვნა, რომლებიც პროცედურულად საბჭოს უნდა განეხილა.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც სასწავლო დაწესებულება შემოწმდა 22-25 აგვისტოს მონიტორინგის ჯგუფის მიერ და დაიწერა უარყოფითი დასკვნა, რომელიც საბჭოს განსახილველად რატომღაც არ წარედგინა ადმინისტრაციული წარმოებისათვის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, ხოლო იგივე ადმინისტრაციული ორგანოს - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტების 15-17 ოქტომბრის ვიზიტის შედეგად დაიწერა ასევე უარყოფითი დასკვნა, რომელიც საბჭოს წარედგინა კანონმდებლობით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, მისთვის აბსოლუტურად გაუგებარია, რატომ უნდა განიხილოს ერთი და იგივე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მომზადებული დროში ერთმანეთისაგან აცდენილი (დაახლოებით ორთვიანი ინტერვალით) ორი დასკვნა ერთი და იგივე დაინტერესებული პირის მიმართ - 2012 წლის 16 ნოემბერს, სასწავლო დაწესებულებისათვის უფლების (ავტორიზაციის) მინიჭების ან შეზღუდვის (ჩამორთმევის, ავტორიზაციაზე უარის თქმის) მიზნით. კახი ყურაშვილის აზრით, ამ შემთხვევაში საბჭო უნდა დაეყრდნოს ბოლოს გამოვლენილ ფაქტობრივ გარემოებებს ანუ ავტორიზაციის ექსპერტების მიერ 15-17 ოქტომბერს ჩატარებული შემოწმების შედეგებს, მით უფრო რომ მონიტორინგის ჯგუფის მიერ მონიტორინგის ჩატარება განხორციელდა ადმინისტრაციული წარმოების კანონმდებლობით დადგენილი ვადების დარღვევით. კახი ყურაშვილმა აღნიშნა, რომ მას პირადად არ სურს გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნოს ისეთ დასკვნას, რომელიც ადმინისტრაციული წარმოების ვადების დარღვევითაა შედგენილი და თან ასახავს თითქმის სამი თვის წინანდელ ფაქტობრივ გარემოებებს, მაშინ როდესაც იგივე დაწესებულებასთან მიმართებაში არსებობს უფრო ახალი დასკვნა ახალი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით. კახი ყურაშვილმა ყურადღება გაამახვილა აგრეთვე იმ გარემოებაზე რომ ორივე შემთხვევაში, როგორც მონიტორინგის ჯგუფის მიერ, ისე ავტორიზაციის ექსპერტების მიერ მოწმდება ერთი და იგივე ფაქტობრივი გარემოებები -

სასწავლო დაწესებულების საქმიანობა შესაბამისობაშია თუ არა ავტორიზაციის სატანდარტებთან.

გიორგი ელისაბედაშვილის განცხადებით, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის საფუძველზე, დაწესებულებას ავტორიზაცია ვერ მიენიჭებოდა. ამ შემთხვევაში, ან უუქმდებოდა ავტორიზაცია ან წარმოება შეწყდებოდა ავტორიზაციის გაუქმების შესახებ, ამდენად, მას მიაჩნია, რომ საკითხი ცალკე უნდა განხილულიყო.

კახი ყურაშვილის განცხადებით, მონიტორინგის სამსახურს წარმოება უნდა დაესრულებინა დადგენილ ვადაში, საკითხი დროულად გამოეტანა საბჭოზე და შესაბამისად, დასკვნა განუხილველი არ დარჩებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ როდის ჩაბარდათ მათ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა.

შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლის განცხადებით, მათ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა ჩაბარდათ 2012 წლის 16 ოქტომბერს.

კახი ყურაშვილის განცხადებით, მხარემ არ იცოდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის შედეგები და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტისათვის, მათ არ მიეცათ შესაძლებლობა გამოესწორებინათ არსებული ხარვეზები. მისი აზრით, აღნიშნული ქმედების მიზანი მისთვის ბუნდოვანია და ძალიან საეჭვოა, რადგან მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის გაცნობის პირობებში, შესაძლოა, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითი იყოფილიყო. მას ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის დაინტერესებული (შემოწმებული) პირისათვის დაგვიანებით ჩაბარება და გაცნობა, არსებითი გარემოება გახდა თავად უნივერსიტეტისათვის, ვინაიდან, უნივერსიტეტს რომ დროულად სცოდნოდა მონიტორინგის მიერ გამოვლენილი ხარვეზები, მას შესაძლებლობა ექნებოდა ისინი გამოესწორებინა და ამ შემთხვევაში ავტორიზაციის ექსპერტები იგივე ხარვეზებს ვეღარ დაადგენდნენ, რასაც შესაძლოა ავტორიზაციის ექსპერტებისათვის დადებითი დასკვნის დაწერის საშუალება მიეცა. დადებითი დასკვნა კი ავტორიზაციის ახალი ვადით მოპოვების წინაპირობაა.

მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენლის, იოსებ კელენჯერაძის, განცხადებით, მონიტორინგის სამსახური ამ პერიოდის განმავლობაში მუშაობდა დარგის სპეციალისტებთან და ამის დამადასტურებელი მიმოწერა ცენტრში ინახებოდა.

კახი ყურაშვილის განცხადებით, აღნიშნულში მას ეჭვი არ ეპარებოდა, მხოლოდ, ეს აქტივობები ხდებოდა წარმოების ვადის გასვლის შემდგომ, ისე, რომ ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელება არ მომხდარა.

იოსებ კელენჯერაძის განცხადებით, მისთვის ბუნდოვანია, თუ რომელი ვადის გაგრძელება უნდა მომხდარიყო, მაშინ, როდესაც, ვადა არ იყო საერთოდ დადგენილი.

კახი ყურაშვილმა განმარტა, რომ ბრძანება, დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ, წარმოადგენდა ადმინისტრაციულ აქტს, შესაბამისად, მასზე ვრცელდებოდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი. აქტში არ იყო დაკონკრეტებული ვადა, შესაბამისად, მონიტორინგის წარმოებაზე ავტომატურად გავრცელდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ვადა. როდესაც არ არის დადგენილი სპეციალური ვადა, გამოიყენება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული წარმოების ვადები და სამწუხაროა რომ მას ამის განმარტება უწყევს.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, საბჭოს ჰქონდა შემდეგი გადაწყვეტილებების მიღების სამართლებრივი უფლებამოსილება:

- 1) დღის წესრიგში ჩასმული პირველი საკითხის ფარგლებში გაუუქმებინათ დაწესებულებისათვის ავტორიზაცია, შეეწყვიტათ ადმინისტრაციული წარმოება

ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით ან მიეცათ ვადა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნების გამოსასწორებლად;

- 2) დღის წესრიგში ჩასმული მეორე საკითხის ფარგლებში დაწესებულებისათვის მიენიჭებინათ ავტორიზაცია ან უარი ეთქვათ ავტორიზაციაზე;
- 3) საბჭოს შეეძლო დღის წესრიგი დაემტკიცებინა პირველი საკითხის გარეშე და განეხილა დაწესებულების ავტორიზაციის საკითხი, დაწესებულებაში არსებული ფაქტობრივი გარემოებების თაობაზე უახლესი დაკვნის საფუძველზე.

კახი ყურაშვილის განმარტებით, იმის გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილია ორი უარყოფითი დასკვნა, საკითხების არსებითი განხილვისას, საბჭო შეიძლება მისულიყო იმ დასკვნამდე რომ შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტისათვის გაუქმებინა ავტორიზაცია (პირველი საკითხი) და მერე უარი ეთქვა ავტორიზაციაზე (მეორე საკითხი), რაც შედეგობრივად ერთი და იგივეა.

მონიტორინგის სამსახურის უფროსის, გიორგი ელისაბედაშვილის, მოთხვნის საფუძველზე, საბჭომ გამოაცხადა შესვენება.

შესვენება გამოცხადდა 20:30

სხდომა განახლდა 20:59

კახი ყურაშვილმა საბჭოს წევრებს სთხოვა დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია, რაზეც საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ საბჭოს უნდა ეხელმძღვანელა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნით და გადაწყვეტილება უნდა მიეღოთ დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე - ავტორიზაციის საკითხზე. კახი ყურაშვილმა, განმარტა, რომ საბჭო დაეყრდნობოდა ავტორიზაციის ექსპერტების მიერ შედგენილ და კანონმდებლობით დადგენილ ვადაში წარმოდგენილ დასკვნას გადაწყვეტილების მიღებისას, თუმცა აგრეთვე, მხედველობაში მიიღებდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შედეგებსაც, ანუ გაითვალისწინებდა იმ გარემოებასაც რომ სასწავლო დაწესებულებაში ავგისტოს თვეშიც ფიქსირდებოდა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები

გიორგი ელისაბედაშვილის განცხადებით, მონიტორინგის სამსახურში შემოსული იყო დაწესებულების დოკუმენტაცია დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ ნაწილობრივ გამოსწორებული იყო შენიშვნები, თუმცა ყველა - არა.

კახი ყურაშვილმა სთხოვა საბჭოს წევრებს საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბებისას გაეთვალისწინებინათ მონიტორინგის სამსახურის აღნიშნული განცხადებაც.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

ნანა ჭილაძის განცხადებით, დღის წესრიგში ჩასმული მე-3 საკითხი, მსგავსად, მე-2 საკითხისა უნდა განხილულიყო 2012 წლის 6 ნოემბრის საბჭოს სხდომაზე და შესაბამისად, დღის წესრიგი გამოქვეყნებული იყო ერთი კვირით ადრე. მისი განცხადებით, 2012 წლის 16 ნოემბრის დღის წესრიგი გამოქვეყნდა ერთი დღით ადრე. სხდომის დღის წესრიგში ჩაისვა 6 ნოემბრის საბჭოს სხდომაზე გადადებული საკითხები. მხარეს ეცნობა 16 ნოემბერს, მაგრამ ცენტრში წარმოდგენილი კორესპონდენციის გათვალისწინებით, დაწესებულებამ, კვლავ, მოითხოვა საკითხის განხილვის გადადება, რადგან შპს - საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური საბაკალავრო კოლეჯის დასწრება ვერ იქნებოდა უზრუნველყოფილი.

კახი ყურაშვილის განცხადებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დაინტერესებული მხარის დასწრება უნდა

ყოფილიყო უზრუნველყოფილი, რადგან შესაძლოა საბჭოს გადაწყვეტილებით გაუარესებულიყო მხარის მდგომარეობა, ანუ საბჭოს მიერ ნეგატიური ადმინისტრაციული აქტი. დღის წესრიგის შესახებ მხარეს ეცნობა 16 ნომბერს, ამდენად, რადგან გაფრთხილების ვადა არ იქნა დაცული, მას მიაჩნია, რომ მხარის მოთხოვნა საკითხის განხილვის გადადებასთან დაკავშირებით უნდა დაკმაყოფილებულიყო.

ნანა ჭილაძის განცხადებით, 2012 წლის 6 ნომბერის დღის წესრიგის გამოქვეყნებისას დაცული იყო კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

კახი ყურაშვილის განცხადებით, მას, მიზანშეწონილად მიაჩნდა საკითხის გადადება, ვინაიდან იგი ყოველთვის ცდილობს დაინტერესებულ მხარეს მისცეს საკუთარი პოზიციის საბჭოზე წარმოდგენის შესაძლებლობა, მით უფრო თუ ამაზე თავად დაინტერესებული პირი შუამდგომლობს.

საბჭომ გაიზიარა თავმჯდომარის მოსაზრება და ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის ახალი წესრიგი:

შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

1. შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნები:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შემდეგი:

1. საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები არ შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს ბაკალავრიატის საფეხურის აღმწერს - მაგალითად, “საერთაშორისო გადაზიდვების ორგანიზაციისა და მართვის” საბაკალავრო პროგრამაში მითითებულია: ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - “კვლევისა და დაგეგმვის ახალი მეთოდების გამოყენებით აბსტრაქტული მონაცემებისა და ლოგისტიკური კონცეფციების ტრანსფორმაცია ბაზარზე სიტუაციის შესაბამისად, ლოგისტიკური პრობლემის გადაჭრის ახალი გზების შემუშავება” (კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით ბაკალავრმა უნდა შეძლოს “სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად”; დაკვნის უნარი - “დამოუკიდებლად ახალი მონაცემებისა და სიტუაციების ანალიზი” (კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით ბაკალავრს უნდა შეეძლოს განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით); საზღვაო ნავიგაციის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია “ახალი მონაცემების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული/ახალი მეთოდის გამოყენებით” (კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისად ბაკალავრმა უნდა შეძლოს “განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი”);

2. პროგრამის სწავლის შედეგებში მითითებული კომპეტენციის მიღწევა არ არის უზრუნველყოფილი შესაბამისი სასწავლო კურსებით - მაგალითად, “საერთაშორისო გადაზიდვების ორგანიზაციისა და მართვის” საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია “ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის მეთოდების ... გამოყენებით ლოგისტიკური ინფორმაციის გადამუშავება”, ამავე დროს საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმით არ არის გათვალისწინებული არც ალბათობის თეორიის არც მათემატიკური სტატისტიკის სასწავლო კურსები, ხოლო “საინჟინრო მათემატიკა 1,2” და “მათემატიკური მეთოდები და მოდელები ლოგისტიკაში და ტრანსპორტზე” სასწავლო კურსები (წინაპირობების, მიზნების, შინაარსის და მითითებული სავალდებულო ლიტერატურის გათვალისწინებით) არ არის მიმართული ალბათობის თეორიისა და მათემატიკული სტატისტიკის შესწავლაზე;

3. სასწავლო კურსის წინაპირობები არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული და ბუნდოვანია:

“საერთაშორისო გადაზიდვების ორგანიზაციისა და მართვის” საბაკალავრო პროგრამა. “ეკონომიკის” სასწავლო კურსის წინაპირობებია – კურსის “შესწავლა სტუდენტისაგან მოითხოვს მათემატიკური და ლოგიკური აზროვნების ზოგად უნარ-ჩვევებს”;

“საზღვაო ნავიგაციის” საბაკალავრო პროგრამა. “გემის ელექტრონავიგაციური ხელსაწყოების” სასწავლო კურსის წინაპირობაა “სტუდენტმა უნდა იცოდეს პერსონალურ კომპიუტერზე მუშაობა”;

“გემის მექანიკის” საბაკალავრო პროგრამა. “გემის აგებულებისა და თეორიის” სასწავლო კურსის წინაპირობაა “სტუდენტი უნდა ფლობდეს ფიზიკის კანონებს” და სხვ.;

4. სასწავლო კურსების წინაპირობები გაუგებარია - მაგალითად, “საზღვაო ნავიგაციის” პროგრამის საზღვაო ინგლისური ენის (II საფეხური, I ნაწილი, V სემესტრი) და საზღვაო ინგლისური ენის (II საფეხური, II ნაწილი, VI სემესტრი) სასწავლო კურსების წინაპირობები ერთნაირია - “I და II კურსზე განვლილი მასალა”; საზღვაო ინგლისური ენის (III საფეხური, I ნაწილი, VII სემესტრი) და საზღვაო ინგლისური ენის (III საფეხური, II ნაწილი, VIII სემესტრი) სასწავლო კურსების წინაპირობები ერთნაირია და არის “I, II, III კურსზე განვლილი მასალა”. რაც გაუგებარია, რადგან პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით I-II კურსებზე ისწავლება 16, ხოლო I-III კურსებზე - 22 სასწავლო კურსი, მათ შორის საუნივერსიტეტო, საფაკულტეტო და ძირითადი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები;

5. სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები დარღვეულია, რადგან სასწავლო კურსები ისწავლება ერთსა და იმავე სემესტრში – მაგალითად,

“საერთაშორისო გადაზიდვების ორგანიზაციისა და მართვის” საბაკალავრო პროგრამა. პროფესიული პრაქტიკა-1 და მის წინაპირობად მითითებული ლოგისტიკური მენეჯმენტი პროგრამის სასწავლო გეგმის შესაბამისად ისწავლება მე-7 სემესტრში;

“საზღვაო ნავიგაციის” საბაკალავრო პროგრამა. საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობაა სპეციალობის ძირითადი სასწავლო კურსები, ამავე დროს ძირითადი სპეციალობის ორი სასწავლო კურსი ასევე ისწავლება მე-7 სემესტრში;

6. სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები დარღვეულია, რადგან წინაპირობის სახით მითითებული სასწავლო კურსები არ არის გათვალისწინებული საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმით – მაგალითად,

“საერთაშორისო გადაზიდვების ორგანიზაციისა და მართვის” პროგრამა. “სატრანსპორტო-საექსპედიციო საწარმოთა ორგანიზაციისა და დაგეგმვის” სასწავლო კურსის წინაპირობად მითითებული “მიკრო, მაკრო ეკონომიკა და ტრანსპორტის თეორიის საფუძვლები” არ არის გათვალისწინებული პროგრამის სასწავლო გეგმით;

“საზღვაო ნავიგაციის” საბაკალავრო პროგრამა. “გემის მენეჯმენტის” სასწავლო კურსის წინაპირობაა “ტვირთების გადაზიდვის ტექნოლოგია” არ არის გათვალისწინებული პროგრამის სასწავლო გეგმით;

გემის მექანიკის საბაკალავრო პროგრამა. საკურსო ნაშრომის “შიგაწვის ძრავები” წინაპირობად მითითებული “სასწავლო კურსი ნავიგაცია (1,2,3 ნაწილი)”. არ არის გათვალისწინებული შესაბამისი პროგრამის სასწავლო გეგმაში;

7. წინაპირობის სახით მითითებული სასწავლო კურსების დასახელება არ შეესაბამება საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმაში მითითებულს - მაგალითად, “გემის ტექნიკური მომსახურების და რემონტის” სასწავლო კურსის წინაპირობებია “ორთქლის ქვაბები” (პროგრამის სასწავლო გეგმაში - გემის დამხმარე ქვაბები, ორთქლის და გაზის ტურ-

ბინები), "გემის დამხმარე მექანიზმები" (სასწავლო გეგმით - გემის დამხმარე მექანიზმები, სისტემები და მათი ექსპლუატაცია), "შიგაწვის ძრავები" (სასწავლო გეგმით - გემის შიგაწვის ძრავების თეორია, აგებულება");

8. სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობის გრაფა არ არის შევსებული – მაგალითად, "საერთაშორისო გადაზიდვების ორგანიზაციასა და მართვის" საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსი "გარემოს დაცვა";

9. სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულია მხოლოდ უცხოენოვანი ლიტერატურა - მაგალითად, "საერთაშორისო გადაზიდვების ორგანიზაციისა და მართვის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების "მათემატიკური მეთოდები და მოდელები ლოგისტიკაში და ტრანსპორტზე", "გემის აგენტობის" და "საზღვაო ტრანსპორტის" სილაბუსებში მითითებულია მხოლოდ რუსულენოვანი სავალდებულო სახელმძღვანელოები მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო კურსების წინაპირობებში არ არის მითითებული რუსული ენის ცოდნის აუცილებლობა და საბაკალავრო პროგრამა არ ითვალისწინებს რუსული ენის სასწავლო კურსებს;

10. სასწავლო კურსის შედეგები ბუნდოვანია ან არ შეესაბამება ბაკალავრიატის საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერს – მაგალითად, "საერთაშორისო გადაზიდვების ორგანიზაციისა და მართვის საბაკალავრო პროგრამის "ფინანსების თეორიის" სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, კერძოდ ღირებულებებია "ფინანსების შემსწავლელი დისციპლინის საზოგადოებრივი მნიშვნელობის და პასუხისმგებლობის ათვისება", სატრანსპორტო ლოგისტიკის" სასწავლო კურსის სწავლის შედეგი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი არის "სტუდენტს "შეუძლია ... ლოგისტიკური სისტემების სტრუქტურული სრულყოფისა და ექსპლუატაციის ყველაზე თანამედროვე, ეფექტური მეთოდებისა და ოპტიმალური ვარიანტების მეთოდების შერჩევა" (კვალიფიკაციათა აღმწერის შესაბამისად სტუდენტს "შეუძლია სფეროსათვის დამახასიათებელი და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემის გადასაჭრელად, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად);

11. სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას:

1) "საერთაშორისო გადაზიდვების ორგანიზაციისა და მართვის" საბაკალავრო პროგრამა. "პროფესიული პრაქტიკა-1"-ის სილაბუსში – მითითებულია მხოლოდ დადებითი შეფასებები: ფრიადი (91-100 ქულა), ძალიან კარგი (81-90 ქულა), კარგი (71-80 ქულა), დამაკმაყოფილებელი (61-70 ქულა), საკმარისი (51-60 ქულა). შეფასების სისტემაში არ არის გათვალისწინებული უარყოფითი შეფასებები და არ არის მითითებული როგორია ამ შეფასებების მიღების შედეგები (დამატებით გამოცდაზე გასვლა ან/და სასწავლო კურსის თავიდან შესწავლა) – დარღვეულია "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტი, რომლის თანახმად შეფასები სისტემა უშვებს 5 დადებით და 2 უარყოფით შეფასებას - "ვერ ჩააბარა" - მაქსიმალური შეფასების 41-50% და "ჩაიჭრა" - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები;

2) "საზღვაო ნავიგაციის" საბაკალავრო პროგრამის "საზღვაო ინგლისური ენის (I საფეხური, I-II ნაწილი)" და "გემის მექანიკის" საბაკალავრო პროგრამის "გემების და მათი ტექნიკური საშუალებების ექსპლუატაციის" სასწავლო კურსების შეფასების სისტემაში მითითებულია, რომ "სტუდენტს სასწავლო კურსი ათვისებულად ჩაეთვლება, თუ ის მიიღებს ერთ-ერთს შემდეგი (სამი) დადებითი შეფასებებიდან: ფრიადი 91 ქულა და მეტი, ძალიან კარგი 81-90 ქულა, კარგი 71-80, მითითებული შეფასების სისტემა არ ითვალისწინებს კიდევ ორ დადებით შეფასებას "დამაკმაყოფილებელი" (61-70 ქულა) და "საკმარისი" (51-60

ქულა) და ორ უარყოფით შეფასებას ”ვერ ჩააბრა” და ”ჩაიჭრა” – დარღვეულია “უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტი, რომლის თანახმად შეფასები სისტემა უშვებს 5 დადებით (ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი; ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%, კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%; დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%; საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%) და 2 უარყოფით შეფასებას (ვერ ჩააბრა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები) და ამავე ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის მიხედვით კრედიტი მიღებულად ითვლება ერთ-ერთი, მათ შორის მინიმალური დადებითი შეფასების (51 ქულის) მიღების შემთხვევაში;

3) არ არის მითითებული სტუდენტთა შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები – მაგალითად, “საზღვაო ნავიგაციის” და “გემის მექანიკის” პროგრამების ”სასწავლო საცურაო პრაქტიკის და ”სასწავლო ტექნოლოგიური პრაქტიკის” სილაბუსებში არ არის მითითებული სტუდენტის რა საქმიანობა (დასწრება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული დავალებების შესრულება და ა.შ.) იქნება შეფასებული, შეფასების რა ფორმები (შუალედური და დასკვნითი შეფასებები) და კრიტერიუმები იქნება გამოყენებული, როგორ მოხდება სტუდენტის დადებითი თუ უარყოფითი შეფასების ფორმირება და მისი მისადაგება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ შეფასების სისტემასთან, როგორ დადგინდება მიიღო თუ არა სტუდენტმა თუნდაც მინიმალური დადებითი შესაფება თუ მოუწევს სასწავლო კურსის თავიდან შესწავლა - დარღვეულია “უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების მე-4 მუხლი, რომლის თანახმად სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს: შუალედურ შეფასებებს და დასკვნითი გამოცდის შეფასებას, კრედიტის მიღება კი შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ამ ბრძანების მუხლის მე-7 პუნქტის „ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

4) სასწავლო კომპონენტის შეფასება ხდება ერთჯერადად – მაგალითად, “გემის მექანიკის”, “საზღვაო ნავიგაციის” საკურსო ნაშრომების სილაბუსებში მითითებულია სასწავლო კომპონენტის ხანგრძლივობა (15 კვირა), შინაარსი, შესასწავლი საკითხები შესაბამისი საათების მითითებით. მიუხედავად ამისა, სტუდენტის საქმიანობის შეფასება ხდება ერთჯერადად, მხოლოდ დასრულებული ნაშრომის მიხედვით – დარღვეულია “უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების მე-4 მუხლი, რომლის თანახმად დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს: შუალედურ შეფასებებს და დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

12. არ არის მითითებული სტუდენტის საქმიანობის კომპონენტები და კრედიტის განაწილება საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებზე - მაგალითად, “საერთაშორისო გადაზიდვების ორგანიზაციისა და მართვის” საბაკალავრო პროგრამის ”პროფესიული პრაქტიკა-1”-ის, “საზღვაო ნავიგაციის” საბაკალავრო პროგრამის ”სასწავლო საცურაო პრაქტიკის”, “გემის მექანიკის” საბაკალავრო პროგრამის ”სასწავლო საბურაო პრაქტიკა -1”-ის სილაბუსებში მითითებულია სწავლების მეთოდები, სტუდენტთა შეფასების სისტემა და

შინაარსი - შესასწავლი საკითხები შესაბამისი საათების მითითებით, რაც გულისხმობს როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საჭიროებას. ეს ინფორმაცია არ არის მოცემული არც სილაბუსებში და არც შესაბამისი საბაკალავრო პროგრამების სასწავლო გეგმებში - დარღვეულია “უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების მე-2 მუხლი, რომლის თანახმად “კრედიტი არის ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტის მიერ ერთი საგნის ასათვისებლად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას, გამოხატულს დროის ერთეულში – საათებში” და სტუდენტის საქმიანობა მოიცავს: ლექციაზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ ან ლაბორატორიულ მეცადინეობას, სასწავლო, სამეცნიერო და საწარმოო პრაქტიკას, გამოცდების მომზადება-ჩაბარებას, დამოუკიდებელ მეცადინეობას და სხვ.;

13. მითითებული შეფასების კრიტერიუმები შესაფასებელი კომპეტენციების შეუსაბამოა - განსხვავებული სპეციფიკის მქონე “საინჟინრო გრაფიკის” და, მაგალითად, “ფინანსების” სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულია სტუდენტის შეფასების იდენტული სისტემა და კრიტერიუმები - “პასუხი სრულია, პასუხი გაცემულია ყველა კითხვაზე, მაგრამ შეკვეცილია; პასუხი არასრულია, პასუხი არადადამკმაყოფილებელია და მასალის გადმოცემა ქრონოლოგიური ხასიათისაა, პასუხი სრულია, მაგრამ არათანმიმდევრული და სხვ.” ამავე დროს, “საინჟინრო გრაფიკის” სასწავლო კურსის მიზანში მითითებულია, რომ სასწავლო კურსი მიმართულია არა მხოლოდ თეორიული საკითხების შესწავლაზე, არამედ უშუალოდ ხაზვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე, “რის გამოც პრაქტიკულ მეცადინეობებზე სტუდენტი ასრულებს სავალდებულო გრაფიკულ საკურსო სამუშაოს”. მაგრამ მითითებული შეფასების კრიტერიუმები არ ითვალისწინებს ამ გრაფიკული სამუშაოს და ხაზვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების შემოწმებას და, შესაბამისად, იმის დადგენას, თუ რამდენადაა მიღწეული სასწავლო კურსის მიზანი - ხაზვის კურსის ათვისება;

14. სასწავლო კომპონენტის სილაბუსში და საბაკალავრო პროგრამაში მითითებულია განსხვავებული ინფორმაცია – მაგალითად:

1) “საზღვაო ნავიგაციის” და “გემის მექანიკის” საბაკალავრო პროგრამების “საკურსო ნაშრომის” სილაბუსებში კრედიტის შესაბამის საათებში შედის დამოუკიდებელი მუშაობა, გამოცდები და კონსულტაციები, ხოლო საბაკალავრო პროგრამების სასწავლო გეგმებით საკონტაქტო საათებში მოიაზრება არა კონსულტაციები (რომლებიც საერთოდ არ არის გათვალისწინებული სასწავლო გეგმებით), არამედ ლექცია და ჯგუფში მუშაობა;

2) “საერთაშორისო გადაზიდვების ორგანიზაციისა და მართვის” პროგრამის საბაკალავრო ნაშრომის ფორმატში მოიაზრება: დამოუკიდებელი მუშაობა – 500 სთ და კონსულტაცია – 20 სთ. ამავე დროს საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმით არ არის გათვალისწინებული კომპონენტი “კონსულტაციები” და არ არის მითითებული არც საკონტაქტო და არც დამოუკიდებელი მუშაობის საათები.

15. საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსები და პროფესიული პროგრამების სასწავლო კურსები იდენტურია,

“საერთაშორისო გადაზიდვების ორგანიზაციისა და მართვის” საბაკალავრო პროგრამის და “სატრანსპორტო ფირმებში ლოგისტიკის ოპერატორის III საფეხურის პროფესიული პროგრამის სასწავლო კურსები იდენტურია, მაგალითად:

“ტრანსპორტის თეორიული საფუძვლების” სასწავლო კურსებს აქვთ იდენტური მიზანი, შინაარსი, თითოეული თემის შესასწავლად გათვალისწინებული ლიტერატურა, მათ შორის მითითებული გვერების რაოდენობა, შეფასების სისტემა და სავალდებულო ლიტერატურა;

”საერთაშორისო გადაზიდვების ორგანიზაციისა და მართვის” საბაკალავრო პროგრამის და ”სატრანსპორტო ფირმებში ლოგისტიკის ოპერატორის IV საფეხურის პროფესიული პროგრამის სასწავლო კურსები იდენტურია:

1) ”საზღვაო ტრანსპორტის” სასწავლო კურსებს აქვთ იდენტური შინაარსი, თითოეული თემის შესასწავლად გათვალისწინებული ლიტერატურა, მათ შორის მითითებული გვერების რაოდენობა, შეფასების სისტემა და სავალდებულო ლიტერატურა;

2) ”უსაფრთხოების ტექნიკის” სასწავლო კურსებს აქვთ იდენტური მიზნები, საკონტაქტო საათების რაოდენობა, შინაარსი, თითოეული თემის შესასწავლად გამოყოფილი საკონტაქტო საათების რაოდენობა და ლიტერატურა (მათ შორის მითითებული გვერების რაოდენობა), შეფასების სისტემა, სავალდებულო ლიტერატურა და სწავლის შედეგები - დარგობრივი კომპეტენციები ”ცოდნა და გაცნობიერება” და ”ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი”;

3) ”ტვირთმცოდნეობის” სასწავლო კურსებს აქვთ პრაქტიკულად ერთნაირი მიზნები და იდენტური შინაარსი, საკონტაქტო საათების რაოდენობა, თითოეული თემის შესასწავლად გამოყოფილი საკონტაქტო საათები და სავალდებულო ლიტერატურა, მათ შორის მითითებული გვერდების რაოდენობა.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შემდეგი:

16 პროგრამის კურიკულუმში მითითებულია, რომ პროგრამაზე დაშვების აუცილებელი პირობაა ”ეკონომიკის 1”-ის ჩაბარება. ”საერთაშორისო გადაზიდვების ორგანიზაციისა და მართვის” საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს სასწავლო კურსს ”ეკონომიკის”, ხოლო ”ეკონომიკის 1” არ არის გათვალისწინებული არც ერთი საბაკალავრო პროგრამით და გაუგებარია, რა საკითხების ცოდნა მოეთხოვება მაგისტრატურაში სწავლის მსურველს - დარღვეულია ”უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ” განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 07 აპრილის №188 ბრძანების მე-8 მუხლის მოთხოვნა, რომ ”დაშვების წინაპირობის განსაზღვრის მიზანია პირის წინასწარი კომპეტენციების იდენტიფიცირება, რათა შესაძლებელი იყოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა.”;

17 როგრამის სასწავლო გეგმაში არ არის მითითებული პროფესიული პრაქტიკის და სამაგისტრო ნაშრომის საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები და გაუგებარია კრედიტის შესაბამისი საათებში მოიაზრება ა) მხოლოდ საკონტაქტო, ბ) მხოლოდ დამოუკიდებელი თუ გ) საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები;

18 პროგრამაში როგორც ზოგად, ისე დარგობრივ კომპეტენციებში მითითებულია ერთი და იგივე კომპეტენციები – ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, დასკვნის უნარი, კომუნიკაციის უნარი, სწავლის უნარი და ღირებულებები. უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩის მაგისტრატურის საფეხურის აღმწერიდან პროგრამის სწავლის შედეგებში გადმოტანილი ექვსივე კომპეტენცია დასათაურებულია როგორც ”ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციები”, რაც არ არის სწორი, რადგან კვალიფიკაციათა აღმწერი მოიცავს არა მხოლოდ ზოგად (ტრანსფერულ), არამედ დარგობრივ კომპეტენციებსაც;

19 სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები დარღვეულია - მაგალითად, ”ინგლისური ენა 1”-ის სასწავლო კურსის შესწავლი წინაპირობაა სტუდენტი უნდა ”ფლობდეს ენის საბაზო ცოდნას”. რადგან სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში არ არის გათვალისწინებული ინგლისურ ენაში გამოცდის ჩატარება ან ცოდნის დონის

დამადასტურებელი სერტიფიკატის წარდგენა და გაუგებარია რა იგულისხმება “საბაზო ცოდნაში” შეუძლებელია ამ სასწავლო კურსის წინაპირობის შესრულება;

20 სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები დარღვეულია - მაგალითად, “საერთაშორისო ტრანსპორტის და საბაჟო საქმის” სასწავლო კურსის წინაპირობაა სასწავლო კურსი “ლოჯისტიკის საფუძვლები”, რომელიც პროგრამის სასწავლო გეგმით არ არის გათვალისწინებული;

21 სამაგისტრო პროგრამის “ლოჯისტიკის” და საბაკალავრო პროგრამის “ლოჯისტიკის საფუძვლების” სასწავლო კურსს აქვთ სრულად იდენტური მიზნები და დარგობრივი კომპეტენციები: ცოდნა და გაცნობიერება (მაგალითად, “ისიც ლოჯისტიკის ადგილი და როლი თანამედროვე ბიზნესში, ლოჯისტიკის ძირითადი ცნებები და ტერმინები, ძირითადი ლოჯიკური კონცეფციები, ტექნოლოგიები და სისტემები, ლოჯისტიკის ფუნქციები და ამოცანები და ა.შ.”) და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი. აქედან გამომდინარე, სასწავლო კურსი შედეგები არ შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩის მაგისტრატურის საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერს.

22 “მეცნიერული კვლევის საფუძვლების” სასწავლო კურსის მიზნის და შედეგების მიღწევა არ არის უზრუნველყოფილი სასწავლო კურსის შინაარსით (შესასწავლო საკითხებით) და მითითებული ლიტერატურით. სასწავლო კურსის მიზანია მაგისტრანტს შესწავლოს, მათ შორის, “დარგობრივი კვლევის ძირითადი მეთოდები”. სწავლის შედეგად მაგისტრანტს აქვს “ლოჯისტიკის და მის მომიჯნავე სფეროებში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, შეუძლია “წარმოადგინოს ლოჯისტიკური პრობლემის ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით ანალიზი, ლოჯისტიკურ მეცნიერებაში ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მიდგომების შემუშავება” და სხვ. სასწავლო კურსის მიზანი და სწავლის შედეგები ვერ იქნება მიღწეული, რადან არც სილაბუსში მითითებული შესასწავლო თემებში და სავალდებულო ლიტერატურაში საერთოდ არ არის ნახსენები სიტყვა “ლოჯისტიკა” ან მასთან დაკავშირებული რაიმე საკითხი.

23 სილაბუსში მითითებულია მხოლოდ უცხოენოვანი ლიტერატურა – მაგალითად, “ინტერმოდალური და მულტიმოდალური გადაზიდვების” სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული ყველა სავალდებულო და დამატებითი სახელმძღვანელო არის რუსულენოვანი. ამავე დროს, არც სამაგისტრო პროგრამის და არც სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობებში არ არის მითითებული რუსული ენის ცოდნის აუცილებლობა და სამაგისტრო პროგრამა არ ითვალისწინებს რუსული ენის შესწავლას;

24 სილაბუსში შესასწავლო თემებთან მითითებულია მხოლოდ არჩევითი ლიტერატურა და სახელმძღვანელო, რომელიც არც სავალდებულო და არც დამატებით ლიტერატურაში საერთოდ არ არის გათვალისწინებული – მაგალითად, “გადაწყვეტილებათა მიღების თეორია”;

25 “პროფესიული პრაქტიკის” სილაბუსი:

1) არ დგინდება სკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების ზუსტი რაოდენობა, სილაბუსში მითითებულია, რომ სასწავლო კურსი არის 10-კრედიტიანი (ანუ 260 საათი, მათ შორის საკონტაქტო (პრაქტიკის ობიექტზე ყოფნა) - 225 სთ.). იმავე სილაბუსში (“ფორმატში”) მითითებულია: ”1) პრაქტიკული 260 საათი, 2) დამოუკიდებელი – 35 სთ”. გარდა იმისა, რომ მითითებულია საკონტაქტო საათების განსხვავებული რაოდენობა (225 და 260 სთ.), პრაქტიკული და დამოუკიდებელი მუშაობის საათების ჯამი უდრის 295 საათს, რაც 11,35 კრედიტს შეადგენს. საათების რაოდენობის დაზუსტება შეუძლებელია, რადგან პროგრამის სასწავლო გეგმაში საერთოდ არ არის მითითებული პრაქტიკის არც საკონტაქტო და არც დამოუკიდებელი საათები;

2) არ არის აღწერილი შეფასების სისტემა. მითითებულია, რომ პრაქტიკის მასალები ფასდება 0-60 კულით და 40 ქულას სტუდენტი დებულობს პრაქტიკის ანგარიშის პრეზენტაციის შედეგად, არ არის აღწერილი თუ რა მოთხოვნებს და კრიტერიუმებს უნდა შეესაბამებოდეს პრეზენტაცია და როგორია ამა თუ იმ შეფასების ფორმირების წესი.

26 სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი:

1) არ დგინდება სკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების ზუსტი რაოდენობა. სილაბუსში მითითებულია – ”20 კრედიტი (ანუ 520 საათი), საკონტაქტო – 10 სთ., დამოუკიდებელი მუშაობისთვის – 520 სთ”. რაც ჯამში 530 საათია და 20,4 კრედიტს შეადგენს. იმავე სილაბუსში (“ფორმატში”) მითითებულია: ”კონსულტაცია 10 სთ, დამოუკიდებელი მუშაობა – 510 სთ”. შეუძლებელია საათების რაოდენობის დაზუსტება, რადგან პროგრამის სასწავლო გეგმაში საერთოდ არ არის გათვალისწინებული კონსულტაციები და არ მითითებული არც საკონტაქტო და არც დამოუკიდებელი საათები;

2) ”მოთხოვნებში სამაგისტრო ნაშრომისადმი” აღწერილია საბაკალავრო ნაშრომის გაფორმების და საბაკალავრო ნაშრომის დაცვის წესი;

3) შეფასების სისტემაში მითითებულია სამაგისტრო ნაშრომის ამა თუ იმ კომპონენტის შეფასების მხოლოდ მაქსიმალური ქულები და შესაბამისი კრიტერიუმები. გაუგებარია, როგორ მოხდება სხვადასხვა, არა მაქსიმალური შეფასების, ფორმირება და რა კრიტერიუმები იქნება გამოყენებული.

საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებთან დაკავშირებით ზოგადად აღსანიშნავია:

27 ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში (დანართების სახით ყველა წარდგენილი სილაბუსი) დამოუკიდებელ მუშაობაში მოიაზრება ”მუშაობა ჯგუფში/პრაქტიკული მუშაობა, რეიტინული და ფინალური გამოცდები”, რაც არ არის სწორი, რადგან ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მუშაობა და გამოცდები მიმდინარეობს ლექტორის მონაწილეობით და არა დამოუკიდებლად, ინდივიდუალურად სტუდენტის მიერ.

1) გარდა ამისა, ზოგიერთი, მაგალითად, ”ტრანსპორტის თეორიული საფუძვლების”, ”სატრანსპორტო-საექსპედიციო საწარმოთა ეკონომიკის,” ”სატრანსპორტო ლოგისტიკის”, ”გადაწყვეტილებათა მიღების თეორიის” სასწავლო კურსების სპეციფიკა და შინაარსი გამოირცხავს სტუდენტის მიერ დამოუკიდებლად რაიმე სახის პრაქტიკული სამუშაოების შესრულებას ;

2) გარდა ამისა, სილაბუსების მიხედვით, სტუდენტის აქტივობა ”ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული” ერთდროულად მოიაზრება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელ საათებში, კერძოდ, სილაბუსებში მითითებულია, რომ სასწავლო კურსის ფორმაა ”1) ლექცია, 2) ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული და 3) დამოუკიდებელი მუშაობა – გ) მუშაობა ჯგუფში/პრაქტიკული მუშაობა”, რაც ეწინააღმდეგება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ”სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში” და ”შინაგანაწესში” აღწერილ სწავლების ფორმას: ”სააუდიტორიო მუშაობა (ლექცია, სემინარი, პრაქტიკული და ლაბორატორიული), ბ. დამოუკიდებელი მუშაობა, გ, სხვადასხვა სახის პრაქტიკა, დ. სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობა (რეფერატი, საკურსო ნაშრომი, საბაკალავრო ნაშრომი და სხვ.”;

28 არც საგანმანათლებლო პროგრამებში და არც სილაბუსებში არ არის მითითებული თუ როდის ჩატარდება დამატებითი გამოცდა FX (ვერ ჩააბარა) შეფასების მიღების შემთხვევაში. ამავე დროს, ”სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში” და ”ბაკალავრიატისა და უნალესი პროფესიული პროგრამის დებულებაში” მითითებულია: ”სტუდენტს, რომლის საბოლოო შეფასება არის (FX), ან არ გამოცხადდა გამოცდაზე (უწყისში დაფიქსირებულია „არ გამოცხადდა”) უფლება აქვს გავიდეს გამოცდაზე დამატებით სასესიო პერიოდში, საგამოცდო სესიების დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში” - დარღვეულია

“უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების მე-7 მუხლის მე-9 პუნქტი, რომლის თანახმად სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში (ტრიმესტრში). დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 10 დღისა.

29 ”ბაკალავრიატისა და უმაღლესი პროფესიული პროგრამის დებულების მე-5 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად ”გამოსაშვებ საკვალიფიკაციო გამოცდებს საზღვაოსაინ-ჟინრო ფაკულტეტის სტუდენტები აბარებენ საკვალიფიკაციო კომისიას შემდეგ დისციპლი-ნებში: საზღვაო ნავიგაცია და ინგლისური ენა”. მსგავსი გამოცდები არ არის გათვალისწინებული საბაკალავრო პროგრამების არ აღწერილობით ნაწილში და არც სასწავლო გეგმაში.

30. სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებით დაწესებულების მიერ წარდგენილ რეგულაციებში არსებობს მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამო ინფორმაცია, მაგალითად:

”სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესი”;

- ”ბნსუ-ში გადაყვანის წესით ჩარიცხვის უფლება აქვს აკრედიტებული სასწავლო დაწესებულების სტუდენტს (მუხლი 2. პუნქტი 2)”;

- ”ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ბნსუ-ში გადაყვანის წესით ჩარიცხვის უფლება აქვს არაკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტს, სწავლების მეორე წლიდან (მუხლი 2. პუნქტი 3)”;

- ”სტუდენტი, რომელიც ჩაირიცხა ბნსუ-ში ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების საფუძველზე, გარიცხვის/ამორიცხვის შემდეგ შეიძლება ჩაირიცხოს ბნსუ-ში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე აღდგენის წესით (მუხლი 2. პუნქტი 14)”

- სემესტრი 19-კვირიანია, მაგრამ ”აუცილებლობის შემთხვევაში აკადემიური საბჭო უფლებამოსილია განსაზღვროს სააუდიტორიო მუშაობისათვის კვირათა განსხვავებული რაოდენობა (მუხლი 4. პუნქტი 5)”;

- ”სტუდენტს, რომლის საბოლოო შეფასება არის (FX), ან არ გამოცხადდა გამოცდაზე (უწყისში დაფიქსირებულია „არ გამოცხადდა”) უფლება აქვს გავიდეს გამოცდაზე დამატებით სასესიო პერიოდში, საგამოცდო სესიების დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში. (მუხლი 4. პუნქტი 20)”;

- ”თუკი, ხელახლა გასავლელი საგნის შესწავლა წარმოადგენს მიმდინარე სემესტრის რომელიმე საგნის შესწავლის წინაპირობას, მაშინ სტუდენტი ხელახლა გადის ამ საგანს დამატებითი საზაფხულო ტრიმესტრის განმავლობაში (ტრიმესტრის ვადები განისაზღვრება რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით) (მუხლი 4. პუნქტი 22, გ) ქვეპუნქტი)”. ამავე დროს ამავე რეგულაციის შესაბამისად, ”ბნსუ-ში სასწავლო წელი არის ორსემესტრიანი, სემესტრი მოიცავს 19 კვირას”.

- სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგი დგება ბრძანების გამოცემიდან 6 თვის შემდეგ (მუხლი 12, პუნქტი 3);

შინაგანაწესი:

- ”სტუდენტს სტატუსი შეიძლება შეუწყდეს: სწავლის საფასურის ბნსუ-ის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად გადაუხდელობის გამო; ერთი სემესტრის მანძილზე თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში;

ბაკალავრიატისა და უმაღლესი პროფესიული პროგრამის დებულება;

- ”ბაკალავრიატის პროგრამით სწავლის გაგრძელების შემთხვევაში ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მაძიებელს შეიძლება ჩაეთვალოს დიპლომირებული სპეციალისტის მიერ დაგროვებული კრედიტები (მუხლი 1, პუნქტი 4);

- ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ბნსუ-ში გადაყვანის წესით ჩარიცხვის უფლება აქვს არააკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტს, სწავლების მეორე წლიდან;

- გადაყვანის წესით არააკრედიტებულ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტთა ბნსუ-ში ჩარიცხვა შესაძლებელია კალენდარული წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე შესაბამისი სასწავლო წლის 1 ოქტომბრამდე (მუხლი 4, პუნქტი 5).

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1. უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებას ასევე გააჩნია ამავე მისამართზე მესამე კორპუსი საერთო ფართით: 738,35 კვ. მ. აღნიშნული ფართი არის კეთილმოწყობილი, მასში განთავსებულია ტრენინგცენტრი, სხვადასხვა აუდიტორია და შესაბამისი ინვენტარი საზღვაო მიმართულების სტუდენტების მოსამზადებლად. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს ფართი არ იყო საჯარო რეეტრში რეგისტრირებული. ხელმძღვანელობის განმარტებით, საკუთრების რეგისტრაცია მოხდება ავორიზაციის საბჭოს სხდომისათვის.

2. დაწესებულებაში განხორციელებული მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის შესაბამისად გემი „ელიტა“ 2010 წლიდან არ არის უფლებამოსილი დატოვოს ბათუმის აკვატორია (შესაბამისი ნებართვის არ არსებობის გამო), თუმცა დაწესებულებამ ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის, ოპერაციების მართვის მთავარი სამმართველოს მეორე სამმართველოს წერილი, სადაც მოხსენიებულია, რომ გემი „ელიტა“ პერიოდულად გადაადგილდებოდა ბათუმის აკვატორიის მიდამოებში. გემი არის კეთილმოწყობილი და მისი გამოყენება გარკვეული სასწავლო პრაქტიკისათვის გამოსადეგია. ამ ეტაპისათვის ბათუმის აკვატორიის შიდა ტერიტორიაზე, შესაძლებელია სასწავლო კომპონენტისათვის აუცილებელი გარკვეული კომპონენტების შესრულება აღნიშნული გემის გამოყენებით.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

1. შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობა უკავია 12 პროფესორს (მათ შორის 4 სრულ პროფესორს, 7 ასოცირებულ პროფესორს და 1 ასისტენტ პროფესორს), რაც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანების, 11-ე მუხლის, „გ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნასთან, რომლის თანახმად სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი უნდა შედგებოდეს არანაკლებ 15 სრული, ასოცირებული, ან ასისტენტ პროფესორისაგან.

2. აკადემიური პერსონალის შერჩევა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების დარღვევით. შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი შერჩეულია 3 კონკურსის შედეგად.

პირველი კონკურსი გამოცხადდა შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2009 წლის 11 დეკემბრის დადგენილებით #8/1. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები გამოქვეყნდა გაზეთ ბათუმური ქრონიკების 2009 წლის 31 იანვრი #86-ში. საბუთების მიღება მიმდინარეობდა 2010 წლის 18 იანვრიდან 1 თებერვლის ჩათვლით. დარღვეულია უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის 2 პუნქტითა და დაწესებულების წესდების 26-ე მუხლის 2 პუნქტით გათვალისწინებული 1 თვიანი ვადა, რომელიც დაცული უნდა ყოფილიყო კონკურსის ჩატარების თარიღისა და პირობების გამოქვეყნებიდან საბუთების მიღების დაწყებამდე.

კონკურსის შედეგად ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე დაინიშნენ ნათია მიქელთაძე და ნინო ბერიძე.

მეორე კონკურსი გამოცხადდა შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2011 წლის 26 ივლისის ბრძანებით #01-14. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები გამოქვეყნდა გაზეთ აჭარის 2011 წლის 6 აგვისტოს ნომერში. საბუთების მიღების ვადად განისაზღვრა 2011 წლის 6 სექტემბრიდან 11 სექტემბრის ჩათვლით. დარღვეულია უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის 2 პუნქტითა და დაწესებულების წესდების 26-ე მუხლის 2 პუნქტით გათვალისწინებული საბუთების მიღების ვადა, რომელიც არ უნდა ყოფილიყო 2 კვირაზე ნაკლები და 3 კვირაზე მეტი, რეალურად კი გაგრძელდა 6 დღის განმავლობაში. კონკურსის შედეგად დაინიშნენ:

სრული პროფესორები:

1. ხვედელიძე პარმენ;
2. გვარიშვილი გელა;
3. გოლეთიანი ქეთევან.

ასოცირებული პროფესორები:

1. ტაბიძე ნაირა;
2. გვარიშვილი ეკატერინე;
3. ხვედელიძე ელიდა

ასისტენტ პროფესორი:

1. ჭყონია ნატალია.

მესამე კონკურსი გამოცხადდა გამოცხადდა შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 14 თებერვლის დადგენილებით #1/12. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები გამოქვეყნდა გაზეთ აჭარის 2012 წლის 16 თებერვლის ნომერში. საბუთების მიღების ვადად განისაზღვრა 2012 წლის 16 მარტიდან 23 მარტის ჩათვლით. დარღვეულია უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის 2 პუნქტითა და დაწესებულების წესდების 26-ე მუხლის 2 პუნქტით გათვალისწინებული საბუთების მიღების ვადა, რომელიც არ უნდა ყოფილიყო 2 კვირაზე ნაკლები და 3 კვირაზე მეტი, რეალურად კი გაგრძელდა 8 დღის განმავლობაში. კონკურსის შედეგად დაინიშნენ:

სრული პროფესორი:

1. თავამაიშვილი გიორგი.

ასოცირებული პროფესორები:

1. გეჩბაია ბადრი;
2. დევაძე ანზორ.

ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ გამოაცხადა კონკურსი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად, რომლის ჩატარების თარიღი და პირობები გამოქვეყნდა გაზეთ აჭარის 2012 წლის 16 ოქტომბრის ნომერში.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეთანხმებოდა და იზიარებდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებს.

საგანმანათლებლო დაწესებულების კანცლერმა განმარტა, რომ საზღვაო გემთან დაფიქსირებულ შენიშვნას არ იზიარებდა.

მომხსენებელმა, კონსტანტინე ჩოკორაიამ, აღნიშნა, რომ საზღვაო გემთან დაკავშირებით ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოცემული იყო მხოლოდ ფაქტობრივი გარემოება, ხოლო შენიშვნა მოცემულ საკითხზე დაფიქსირებული იყო მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში. კონსტანტინე ჩოკორაიამ განმარტა შენიშვნის შინაარსი: გემი „ელიტა“ 2010 წლიდან არ იყო უფლებამოსილი დაეტოვებინა ბათუმის აკვატორია (შესაბამისი ნებართვის არ არსებობის გამო). კონსტანტინე ჩოკორაიას განცხადებით, დაწესებულებამ ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის, ოპერაციების მართვის მთავარი სამმართველოს მეორე სამმართველოს წერილი, სადაც მოხსენიებულია, რომ გემი „ელიტა“ პერიოდულად გადაადგილდებოდა ბათუმის აკვატორიის მიდამოებში. გემი იყო კეთილმოწყობილი და შესაძლებელი იყო მისი გამოყენება გარკვეული სასწავლო პრაქტიკისათვის, ისევე როგორც, შესაძლებელი იყო ბათუმის აკვატორიის შიდა ტერიტორიაზე სასწავლო კომპონენტისათვის აუცილებელი გარკვეული კომპონენტების შესრულება, რაც საკმარისია ავტორიზაციის მიზნებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ვის ბალანსზე ირიცხებოდა აღნიშნული სატრანსპორტო საშუალება. ავტორიზაციის სამმართველოს უფროსმა აღნიშნა, რომ გემი იყო შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ბალანსზე.

შესაბამისად, ავტორიზაციის საბჭოს წევრების მოსაზრებით, მოცემული შენიშვნა არ უნდა გაეზიარებინათ, იმ შემთხვევაშიც, თუ საკითხის გადაწყვეტისას დაეყრდნობოდნენ მონიტორინგის ჯგუფის მიერ წარმოდგენილ დასკვნას.

საბჭომ იმსჯელა შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტები არ არის დაკმაყოფილებული.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 245433623) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა შუამდგომლობით მიმართა ავტორიზაციის საბჭოს. შუამდგომლობის თანახმად, მართალია, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება იყო უარყოფითი, თუმცა, საბჭოს პრაქტიკისა და დაწესებულებაში ჩარიცხული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით, შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება ძალაში უნდა შესულიყო მიმდინარე

სასწავლო სემესტრის დამთავრების მომენტიდან. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმა მონიტორინგის სამსახურის უფროსი გიორგი ელისაბედაშვილიც.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, ის აღნიშნული სახის გადაწყვეტილებას და პრაქტიკას არ ეთანხმება, რადგან მიაჩნია, რომ როდესაც საბჭო იღებს გადაწყვეტილებას ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ, აღნიშნული გადაწყვეტილების დაინტერესებული პირისათვის ჩაბარების მომენტიდან დაწესებულებამ უნდა შეწყვიტოს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება.

თუმცა, ავტორიზაციის საბჭოს წევრები არ დაეთანხმნენ საბჭოს თავმჯდომარეს და აღნიშნეს, რომ ვიანიდან საბჭოს აქვს მსგავსი პრაქტიკა, სტუდენტთა ინტერესებიდან გამომდინარე, შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება ძალაში უნდა შევიდეს მიმდინარე სასწავლო სემესტრის დამთავრების მომენტიდან.

დღის წესრიგით გადვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა 21:25 საათზე.

კახი ყურაშვილი
თავმჯდომარე

ლალი დოდელიანი
მდივანი